ოქტავიან საიუ

თეატრის მკვლევარი, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სპეციალისტი

ოქტავიან საიუ (Octavian Saiu; დ. 1977) - რუმინელი თეატრის მკვლევარი და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სპეციალისტი, თეატროლოგიისდოქტორი. პირველი დისერტაცია („თეატრალური სივრცის შესახებ“) დაიცვა რუმინეთის თეატრისა და კინოს ეროვნულ უნივერსიტეტში (NUTF); ამასთან, ფლობს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორის ხარისხსაც, რომელიც მიენიჭა სემუელ ბეკეტისა და ეჟენ იონესკოს შესახებ დაწერილი დისერტაციისათვის ახალი ზელანდიის ოტაგოს უნივერსიტეტში. საიუმ ოტაგოს უნივერსიტეტშივე განაგრძო თანამედროვე ლიტერატურის კვლევა და პოსტ-სადოქტორო მუშაობის დასრულებისას თეატრალური და საშემსრულებლო ხელოვნების დოქტორი ჰაბილიტუსის (Dr. Habil.) წოდებაც მიიღო. დოქტორი საიუ ჰონგ-კონგის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტსა (Hong Kong Metropolitan University) და სიბიუს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლაში (Doctoral School of Sibiu University) უწყვეტად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო ლონდონის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სკოლის სტიპენდიატი; ამჟამად ტოკიოს, ჰონგ-კონგის, პეკინისა და ლისაბონის უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორია; ატარებს ლექციებსა და მასტერკლასებს ევროპის, აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში, ასევე გროტოვსკის ინსტიტუტში.

ოქტავიან საიუ, კონფერენციის თავმჯდომარისა თუ მოწვეული სპიკერის რანგში, აქტიურად იყო ჩართული რამდენიმე საკვანძო თეატრალური და აკადემიური ღონისძიების განხორციელების პროცესში, მათ შორის: თეატრალური ოლიმპიადა (Theatre Olympics), ვუჟენის თეატრალური ფესტივალი (Wuzhen Theatre Festival); ასევე ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი (Edinburgh International Festival); 2013 წლის ედინბურგის ფესტივალზე საიუ უძღვებოდა სემუელ ბეკეტისადმი მიძღვნილ კონფერენციას. 2004 წლიდან უძღვება სიბიუს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის (Sibiu International Theatre Festival) კონფერენციებს. წლების განმავლობაში არაერთი დიალოგი წარმართა თეატრალური ხელოვნების გამორჩეულ წარმომადგენლებთან: ოჰად ნაჰარინი, აკრამ ხანი, საშა ვალცი, რობერტ უილსონი, რობერტ ლეპაჟი, რიმინი პროტოკოლი, თომას ოსტერმაიერი, ივო ვან ჰოვე და სხვები.

დოქტორი საიუ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნებული არაერთი სტატიისა და თეატრთან დაკავშირებული თოთხმეტი წიგნის ავტორია.

2010 წელს დაჯილდოვდა „კრიტიკოსთა პრემიით“ (Critics’ Award); 2013 წელს გადაეცა თეატრის ხელოვანთა კავშირის (UNITER) ჯილდო. 2020 წელს, კულტურის ეროვნულ

დღეს, რუმინეთის პრეზიდენტმა საიუს გადასცა ღირსების ორდენი კულტურის წინაშე დამსახურებისათვის. დოქტორი საიუ ასევე თეატრის ლიდერთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Theatre Leaders - IATL) დამფუძნებელი და პრეზიდენტია. 2024 წელს რუმინეთის კულტურის სამინისტრომ საიუს საპატიო ჯილდო გადასცა თეატრის ლიდერობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.